ინფორმაცია

ინტერესთა კონფლიქტის შესახებ

ქ. ბათუმი **18 ნოემბერი, 2011 წ.**

ვადასტურებთ, რომ ქ. ბათუმის მერიის მიერ 2011 წლის 14 ნოემბერს N203 კონკურსის საშუალებით ქ. ბათუმში, სანაცვლო ქონების მესაკუთრეებზე საექსპროპრიაციო ქონების საკომპენსაციოდ გადასაცემი ბინების სარემონტო სამუშაოების საუკეთესო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის განხორციელებასთან დაკავშირებულ საქმიანობაში ჩვენი მონაწილეობა არ ეწინააღმდეგება "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მოთხოვნებს.

საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე:		რობერტ ჩხაიძე
საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე:		დავით სამნიძე
სატენდერო კომისიის წევრები:		არჩილ ვანაძე
		თენგიზ პეტრიძე
		ვლადიმერ ხინთიბიძე

ქ. ბათუმში, სანაცვლო ქონების მესაკუთრეებზე საექსპროპრიაციო ქონების საკომპენსაციოდ გადასაცემი ბინების სარემონტო სამუშაოების საუკეთესო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის გამოვლენის

საკონკურსო კომისიის ოქმი №4-1

ქ. ბათუმი, 4 ნოემბერი, 2011 წ.

სხდომას ესწრებოდნენ: რობერტ ჩხაიძე - საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე, ქ. ბათუმის მერი;

დავით სამნიძე - საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე, ქ. ბათუმის მერის მოადგილე;

არჩილ ვანაძე - საკონკურსო კომისიის წევრი, ქ. ბათუმის მერიის საფინანსო სამსახურის უფროსის მ/შ;

ვლადიმერ ხინთიბიძე - საკონკურსო კომისიის წევრი, ქ. ბათუმის მერიის ადმინისტრაციის შესყიდვების განყოფილების უფროსი.

დღის წესრიგი: თვითმმართველი ქალაქის – ბათუმის მერიის მიერ ქ. ბათუმში, სანაცვლო ქონების მესაკუთრეებზე საექსპროპრიაციო ქონების საკომ-პენსაციოდ გადასაცემი ბინების სარემონტო სამუშაოების საუკეთესო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის გამოვლენის მიზნით კონკურსის განმეორებით გამოცხადება.

მოისმინეს: საკონკურსო კომისიის წევრმა ვლადიმერ ხინთიბიძემ კომისიას მოახსენა, რომ რამდენადაც ქ. ბათუმში, სანაცვლო ქონების მესაკუთ-რეებზე საექსპროპრიაციო ქონების საკომპენსაციოდ გადასაცემი ბინების სარემონტო სამუშაოების საუკეთესო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესარჩევ კონკურსში (კონკურსი N189) მონაწილეობა არ მიუღია არც ერთ პრეტენდენტს, მიზანშეწონილია მისი განმეო-რებით გამოცხადება.

საკონკურსო კომისიის წევრებმა მხარი დაუჭირეს წარმოდგენილ წინადადებას.

კომისიამ დაადგინა:	1. განმეორებით გამოცხადდეს ქ. ბათუმში, სანაცვლო ქონების მესაკუთრეებზე საექსპროპრიაციო ქონების საკომპენსაციოდ გადასაცემი ბინების სარემონტო სამუშაოების საუკეთესო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესარჩევი კონკურსი; 2. საკონკურსო განცხადება (თანდართული დოკუმენტებით) გაეგზავნოს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს მის ოფიციალურ ვებ-გვერდზე გამოქვეყნების მიზნით.

საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე:		რობერტ ჩხაიძე
საკონკურსო კომისიის წევრები:		დავით სამნიძე
		არჩილ ვანაძე
		ვლადიმერ ხინთიბიძე

ქ. ბათუმში, სანაცვლო ქონების მესაკუთრეებზე საექსპროპრიაციო ქონების საკომპენსაციოდ გადასაცემი ბინების სარემონტო სამუშაოების საუკეთესო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის გამოვლენის

საკონკურსო კომისიის ოქმი №4-2

ქ. ბათუმი, **18 ნოემბერი, 2011 წ.**

სხდომას ესწრებოდნენ: რობერტ ჩხაიძე - საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე, ქ. ბათუმის მერი;

დავით სამნიძე - საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე, ქ. ბათუმის მერის მოადგილე;

არჩილ ვანაძე - საკონკურსო კომისიის წევრი, ქ. ბათუმის მერიის საფინანსო სამსახურის უფროსის მ/შ;

თენგიზ პეტრიძე - საკონკურსო კომისიის წევრი, ქ. ბათუმის მერიის კეთილმოწყობის სამსახურის უფროსის მოადგილე, უფროსის მ/შ;

ვლადიმერ ხინთიბიძე - საკონკურსო კომისიის წევრი, ქ. ბათუმის მერიის ადმინისტრაციის შესყიდვების განყოფილების უფროსი.

დღის წესრიგი: თვითმმართველი ქალაქის – ბათუმის მერიის მიერ ქ. ბათუმში, სანაცვლო ქონების მესაკუთრეებზე საექსპროპრიაციო ქონების საკომპენსაციოდ გადასაცემი ბინების სარემონტო სამუშაოების საუკეთესო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის კონკურსის საშუალებით შესყიდვის მიზნით სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ვებ-გვერდზე 2011 წლის 4 ნოემბერს გამოცხადებული N203 კონკურსის შედეგების განხილვა.

მოისმინეს: საკონკურსო კომისიის წევრმა ვლადიმერ ხინთიბიძემ კომისიას მოახსენა, რომ საკონკურსო განცხადების თანახმად, საკონკურსო წინადადების მიღება იწყებოდა 2011 წლის 7 ნოემბერს და მთავრდებოდა 2011 წლის 14 ნოემბერს. 2011 წლის 14 ნოემბრისათვის საკონკურსო წინადადება დალუქული პაკეტებით წარმოადგინა ორმა კონკურსანტმა: შპს „აჭარსპეცპროექტმა“ (2011 წლის 14 ნოემბერი, 17^{50} სთ) და ი/მ გიორგი კობალაძემ (2011 წლის 14 ნოემბერი, 16^{10} სთ).

დალუქული პაკეტები საკონკურსო კომისიის მიერ გაიხსნა 2011 წლის 18 ნოემბერს, 12^{00} საათზე. განხილული იქნა შპს „აჭარსპეცპროექტის“ და ი/მ გიორგი კობალაძის მიერ წარმოდგენილი საკონკურსო წინადადებები.

შპს „აჭარსპეცპროექტის“ მიერ წარმოდგენილი საკონკურსო წინადა-დების განხილვისას აღმოჩნდა რომ, კონკურსანტს საკონკურსო წინადადების წარდგენისათვის გადახდილი აქვს საფასური 50 (ორმოცდაათი) ლარის ოდენობით, მაგრამ საფასურის გადახდის დამადასტურებელ დოკუმენტში არ აქვს მითითებული შემსყიდველი ორგანიზაციის დასახელება და საიდენტიფიკაციო კოდი, ასევე საკონკურსო განცხადების სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე გამოქვეყნების შედეგად განცხადებისათვის მინიჭებული უნიკალური ნომერი, რაც გათვალისწინებულია საკონკურსო განცხადების 1.5 პუნქტით; ხოლო საკონკურსო განცხადების 1.6 პუნქტის თანახმად, 1.5 პუნქტის დარღვევით წარდგენილი საფასურის გადახდის დამადას-ტურებელი დოკუმენტის შემთხვევაში, პირის საკონკურსო წინადადება ექვემდებარება დისკვალიფიკაციას. აქედან გამომდინარე, შპს „აჭარსპეცპროექტის“ საკონკურსო წინადადება ექვემდებარება დისკვალიფიკაციას და შესაბამისად, არ განიხილება.

ი/მ გიორგი კობალაძეს საკონკურსო წინადადების წარდგენისათვის გადახდილი აქვს საფასური 50 (ორმოცდაათი) ლარის ოდენობით და საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი ითვალისწი-ნებს საკონკურსო განცხადების 1.5 პუნქტით განსაზღვრულ მოთხოვნებს. რამდენადაც აღნიშნული პირობა შესაბამისობაშია საკონკურსო განცხადების მოთხოვნებთან, საკონკურსო კომისიამ განიხილა ი/მ გიორგი კობალაძის მიერ წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება. კონკურსანტს წარმოდგენილი აქვს საკონკურსო წინადადების ფასი (5 700 ლარი), განმარტებითი ბარათი კონცეფციით და გასაწევი მომსახურების აღწერით, ინფორმაცია კონკურსანტის გამოცდილების შესახებ თანდართული ცხრილის შესაბამისად, CD დისკზე, ინფორმაცია ანგარიშსწორების პირობების შესახებ და რეკვიზიტები.

საკონკურსო კომისიამ განახორციელა ი/მ გიორგი კობალაძის მიერ წარმოდგენილი საკონკურსო წინადადების შეფასება (საკონკურსო კომისიის წევრების მიერ განხორციელებული შეფასებები ოქმს თან ერთვის).

კონკურსის საშუალებით სანაცვლო ქონების მესაკუთრეებზე საექ-სპროპრიაციო ქონების საკომპენსაციოდ გადასაცემი ბინების სარე-მონტო სამუშაოების საუკეთესო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესყიდვაზე გამოცხადებულ კონკურსსი, საკონკურსო კომისიის წევრთა მიერ ი/მ გიორგი კობალაძეს მიენიჭა 50 ქულა. შესაბამისად, აღნიშნული კონკურსანტი გამოვლინდა გამარჯვებულად.

ამასთან, კომისიამ მიზანშეწონილად მიიჩნია ი/მ გიორგი კობალაძის საკონკურსო წინადადების დაზუსტება იმ მხრივ, რომ

დაცული იქნება საკონკურსო დოკუმენტაციის ტექნიკური დავალებით გათვალისწინებული, ხარჯთაღრიცხვების მომზადების და მათი შემსყიდველისათვის გადაცემის ვადები და ძირითადი სახელმძღვანელო ნორმატივები.

კომისიამ დაადგინა:

1. ქ. ბათუმში, სანაცვლო ქონების მესაკუთრეებზე საექსპროპრიაციო ქონების საკომპენსაციოდ გადასაცემი ბინების სარემონტო სამუშაოების საუკეთესო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის კონკურსის საშუალებით შესყიდვაზე გამარჯვებულად გამოცხადდეს ი/მ გიორგი კობალაძე;

2. ი/მ გიორგი კობალაძემ, 2011 წლის 22 ნოემბრის 18[00] სთ-მდე, უნდა წარმოადგინოს დაზუსტებული საკონკურსო წინადადება-მომსახურების განხორციელების ვადები და ძირითადი სახელმძღვანელო დოკუმენტები;

3. საკონკურსო კომისიის აპარატმა უზრუნველყოს წერილის გაგზავნა ი/მ გიორგი კობალაძისთვის არაუგვიანეს 2011 წლის 18 ნოემბრისა;

4. საკონკურსო კომისიის აპარატმა აცნობოს კონკურსის შედეგები შპს „აჭარსპეცპროექტს“ არაუგვიანეს 2011 წლის 18 ნოემბრისა.

საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე:	რობერტ ჩხაიძე
საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე:	დავით სამნიძე
სატენდერო კომისიის წევრები:	არჩილ ვანაძე
	თენგიზ პეტრიძე
	ვლადიმერ ხინთიბიძე

სანაცვლო ქონების მესაკუთრეებზე საექსპროპრიაციო ქონების საკომპენსაციოდ გადასაცემი ბინების სარემონტო სამუშაოების საუკეთესო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის გამოვლენის საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის შეფასება

შეფასების კრიტერიუმები	**შეფასების კოეფიციენტი**	**ი/მ გიორგი კობალაძე**	
		ქულა	**ჯამი**
საკონკურსო წინადადების ფასი	0,7	10	7
ანალოგიური საქმიანობის გამოცდილება	0,3	10	3
საერთო ჯამი			10

რობერტ ჩხაიძე ----------

საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე

2011 წლის 18 ნოემბერი

სანაცვლო ქონების მესაკუთრეებზე საექსპროპრიაციო ქონების საკომპენსაციოდ გადასაცემი ბინების სარემონტო სამუშაოების საუკეთესო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის გამოვლენის საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის მოადგილის შეფასება

შეფასების კრიტერიუმები	**შეფასების კოეფიციენტი**	**ი/მ გიორგი კობალაძე**	
		ქულა	**ჯამი**
საკონკურსო წინადადების ფასი	0,7	10	7,0
ანალოგიური საქმიანობის გამოცდილება	0,3	10	3,0
საერთო ჯამი			10

დავით სამნიძე ----------

საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე

2011 წლის 18 ნოემბერი

სანაცვლო ქონების მესაკუთრეებზე საექსპროპრიაციო ქონების საკომპენსაციოდ გადასაცემი ბინების სარემონტო სამუშაოების საუკეთესო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის გამოვლენის საკონკურსო კომისიის წევრის შეფასება

შეფასების კრიტერიუმები	**შეფასების კოეფიციენტი**	**ი/მ გიორგი კობალაძე**	
		ქულა	**ჯამი**
საკონკურსო წინადადების ფასი	0,7	10,0	7,0
ანალოგიური საქმიანობის გამოცდილება	0,3	10,0	3,0
საერთო ჯამი			10,0

არჩილ ვანაძე ----------

საკონკურსო კომისიის წევრი

2011 წლის 18 ნოემბერი

სანაცვლო ქონების მესაკუთრეებზე საექსპროპრიაციო ქონების საკომპენსაციოდ გადასაცემი ბინების სარემონტო სამუშაოების საუკეთესო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის გამოვლენის საკონკურსო კომისიის წევრის შეფასება

შეფასების კრიტერიუმები	**შეფასების კოეფიციენტი**	**ი/მ გიორგი კობალაძე**	
		ქულა	**ჯამი**
საკონკურსო წინადადების ფასი	0,7	10	7
ანალოგიური საქმიანობის გამოცდილება	0,3	10	3
საერთო ჯამი			10

თენგიზ პეტრიძე ----------

საკონკურსო კომისიის წევრი

2011 წლის 18 ნოემბერი

სანაცვლო ქონების მესაკუთრეებზე საექსპროპრიაციო ქონების საკომპენსაციოდ გადასაცემი ბინების სარემონტო სამუშაოების საუკეთესო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის გამოვლენის საკონკურსო კომისიის წევრის შეფასება

შეფასების კრიტერიუმები	**შეფასების კოეფიციენტი**	**ი/მ გიორგი კობალაძე**	
		ქულა	**ჯამი**
საკონკურსო წინადადების ფასი	0,7	10	7
ანალოგიური საქმიანობის გამოცდილება	0,3	10	3
საერთო ჯამი			10

ვლადიმერ ხინთიბიძე ----------

საკონკურსო კომისიის წევრი

2011 წლის 18 ნოემბერი

ქალაქ ბათუმის მერი

THE MAYOR OF BATUMI

№25-04/3937 „18" „11" 2011 წ.

ინდივიდუალურ მეწარმეს
„გიორგი კობალაძეს"

ბატონო გიორგი,

გაცნობებთ, რომ ქ. ბათუმის მერიის საკონკურსო კომისიის მიერ თქვენ გამოცხადდით გამარჯვებულად სანაცვლო ქონების მესაკუთრეებზე საექსპროპრიაციო ქონების საკომპენსაციოდ გადასაცემი ბინების სარემონტო სამუშაოების სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების სახელმწიფო შესყიდვაზე გამოცხადებულ კონკურსში (N203).

საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილებით, თქვენს მიერ წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება და ტექნიკური დოკუმენტაცია საჭიროებს დაზუსტებას, კერძოდ, თქვენ უნდა წარმოადგინოთ საკონკურსო დოკუმენტაციის ტექნიკური დავალების მე-4 პუნქტით (დავალების შესრულების ვადები) და მე-5 პუნქტით (ნორმატიული დოკუმენტები) გათვალისწინებული მოთხოვნები, ხელმოწერილი და ბეჭედდასმული უფლებამოსილი პირის მიერ, 2011 წლის 22 ნოემბრის 18^{00} საათამდე. თუ აღნიშნულ ვადაში არ მოხდა დაზუსტებული დოკუმენტაციის წარმოდგენა, საკონკურსო კომისია მოახდენს თქვენს დისკვალიფიკაციას.

დამატებით გაცნობებთ, რომ წინამდებარე შეტყობინება გამოგზავნილი იქნება თქვენს მიერ საკონკურსო წინადადებაში მითითებულ ელექტრონული ფოსტის მისამართზე, არაუგვიანეს 2011 წლის 18 ნოემბრისა.

პატივისცემით,

ქ. ბათუმის მერი **რობერტ ჩხაიძე**

6010. ლუკა ასათიანის ქ. №25. ტელ: 8 (422) 27 26 26. ფაქსი: 8 (422) 27 26 01
6010. №25, Luka Asatiani str., ph: + 995 (422) 27 26 26. fax: + 995 (422) 27 26 01. E-mail: info@batumi.ge

ქალაქ ბათუმის მერი
THE MAYOR OF BATUMI

№ 25-04/3939 „18" „11" 2011 წ.

შპს „აჭარსპეცპროექტის" დირექტორს
ბატონ ჯ. გოგიტიძეს

ბატონო ჯემალ,

გაცნობებთ, რომ „კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის პირობებისა და წესის დამტკიცების თაობაზე "სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის N3 ბრძანების მე-4 მუხლის მე-8 პუნქტის შესაბამისად, თქვენ დისკვალიფიცირებული ხართ სანაცვლო ქონების მესაკუთრეებზე საექსპროპრიაციო ქონების საკომპენსაციოდ გადასაცემი ბინების სარემონტო სამუშაოების სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის კონკურსში (N203).

დამატებით გაცნობებთ, რომ წინამდებარე შეტყობინება გამოგზავნილ იქნება თქვენს მიერ საკონკურსო წინადადებაში მითითებულ ელექტრონული ფოსტის მისამართზე, არაუგვიანეს 2011 წლის 18 ნოემბრისა.

პატივისცემით,

ქ. ბათუმის მერი **რობერტ ჩხაიძე**

6010. ლუკა ასათიანის ქ. №25. ტელ: 8 (422) 27 26 26. ფაქსი: 8 (422) 27 26 01
6010. №25, Luka Asatiani str., ph: + 995 (422) 27 26 26. fax: + 995 (422) 27 26 01. E-mail: info@batumi.ge